Administrative-Territorial Organization of the Lazistan Sanjak (1869–1876)

ლაზისტანის სანჯაყის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მდგომარეობა 1869-1876 წლებში

ALEKSANDRE CHKHAIDZE
Doctor of History,
Research at the Batumi Technological Museum named after the Nobel Brothers,
Georgia, Batumi,15 Marukhi Street Tel.: +995 577 00 38 41

Alekochkhaidze70@gmail.com

http://orcid.org/0009-0007-8902-6002

Abstract
The paper presents and analyzes the issues related to the administrative-territorial organization and the administrative (governing) structure of the Lazistan Sanjak (part of historical Georgian territories) during the late period of the Tanzimat reforms.

Lazeti, or Chaneti, is a historical region of Georgia whose districts were, over the centuries, under various administrative and political jurisdictions. From the 15th century onward, it gradually came under the control of the expanding Ottoman Empire, which introduced its own socio-political system there.

The mid-19th century (up to 1876) was an important period for the Ottoman Empire, marked by the implementation of the Tanzimat reforms and extensive transformations. These reforms involved the creation of new administrative-territorial arrangements and administrative (governing) structures. The existing data in our literature concerning the Lazistan Sanjak do not meet current research requirements and need to be clarified. Recently, new archival documents in Turkish have become available, containing information relevant to our study. In particular, the presented administrative-territorial organization represents a significant source and novelty. We also observe the meclisler established under the Tanzimat program. Their selection and functioning were intended as steps toward democratization. However, the society, still possessing a low level of education, was not yet ready for social progress. The functioning of the entire governing structure—executive or judicial, whether appointed or elected—required further refinement. Numerous materials document the shortcomings in their operation.

It is important to note the contradiction regarding Tanzimat. Specifically, their implementation represented progress for both the state and the people. However, they were carried out in a manner that strengthened Turkish influence, weakened Georgian national identity, and brought it to the brink of disappearance.

Unfortunately, we still do not have access to the identities of the officials whose names are mentioned in the governing structures in the study. They, or some of them, were likely drawn from the local population.

We believe that the study will contribute to a better understanding of historical research on Lazeti, promote the use of reliable sources, and support the analysis of the functioning of the region's administration.

Keywords: Lazeti, Ottoman Empire, sanjak, kaza, nahiye, administrative structure, Tanzimat (reforms).

ალექსანდრე ჩხაიძე

ისტორიის დოქტორი,
ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური
მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი. საქართველო,
ქ. ბათუმი, მარუხის ქუჩა № 15. +995 577 00 38 41
Alekochkhaidze70@gmail.com
https://orcid.org/0009-0007-8902-6002

აბსტრაქტი

ლაზეთი ანუ ჭანეთი საქართველოს ისტორიული მხარეა, რომლის რაიონები საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ დაქვემდებარებაში იმყოფებოდ-ნენ. XV საუკუნიდან მას თანდათან ეუფლებოდა ოსმალეთის გაძლიერებული იმპერია და იქ ნერგავდა საკუთარ სოციალ-პოლიტიკურ სისტემას.

XIX ს. შუა ხანები (1876 წლებამდე) მნიშვნელოვანი პერიოდია ოსმალეთის იმპერიისათვის. იქ ტარდება თანზიმათი, მრავლისმომცველი გარდაქმნები. იგი ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის და ადმინისტრაციის (სახელისუფლებო) სტრუქტურების შექმნა-საც გულისხმობდა. ჩვენს ლიტერატურაში არსებული მონაცემები ლაზისტანის სანჯაყის შესახებ ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნებს და ისინი დაზუსტებას მოითხოვს. ბოლო პერიოდში თურქულ ენაზე გამოჩნდა ახალი საარქივო საბუთები. იქ ჩვენ ვნახულობთ ჩვენთვის საინტერესო მონაცემებსაც. კერძოდ, კონკრეტულად წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა მნიშვნელოვანი წყარო და სიახლეა. ვნახულობთ თანზიმათის პროგრამით შექმნილ მეჯლისებს. მათი არჩევა და ფუნქციონირება დემოკრატიისკენ გადაგმული ნაბიჯი უნდა ყოფილიყო. მაგრამ დაბალი განათლების დონის მქონე საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო მზად საზოგადოებრივი პროგრესისათვის. მთელი სახელისუფლებო სტრუქტურის, აღმასრულებელის თუ სასამართლოს, ნომენკლატურის თუ არჩევითის ფუნქციონირება სრულყოფას მოითხოვდა. მათი მუშაობის ნაკლის შესახებ მრავალი მასალა არსებობს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს წინააღმდეგობა თანზიმათთან დაკავშირებით. კერძოდ, მისი გატარება სახელმწიფოსთვის, ხალხისთვის პროგრესი იყო. მაგრამ იგი ისე ტადრებოდა, რომ აძლიერებდა თურქულ გავლენას, ასუსტებდა ქართულ ეროვნულ იდენტობას, გაქრობის პირას მიჰყავდა ის.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ მიგვიწვდება ხელი იმ თანამდებობის პიროვნებათა ვინაობაზე, რომელთა სახელები ნაშრომში სახელისუფლებო სტრუქტურებშია წარმოდგენილი. ისინი ან მათი ნაწილი ადგილობრივი მოსახლეობიდან უნდა ყოფილიყვნენ.

ვფიქრობთ, ნაშრომი ხელს შეუწყობს ლაზეთის ისტორიული კვლევის გააზრებას, სანდო წყაროების გამოყენებას და რეგიონის ადმინისტრაციის ფუნქციონირების ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ლაზეთი, ოსმალეთის იმპერია, სანჯაყი, კაზა, ნაჰიე, ადმინისტრაციული სტრუქტურა, თანზიმათი(რეფორმები).

შესავალი

ნაშრომში ვიკვლევთ ლაზეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს, მის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას, სახელისუფლებო სტრუქტურებს 1869-1876 წლებში. ბათუმი იყო ლაზისტანის სანჯაყის ადმინისტრაციული ცენტრი. აღვწერეთ ამ სანჯაყის, მისი კაზების და ნაჰიების იერარქიული სტრუქტურა. ნაშრომში წარმოდგენილია იქ მყოფი თანამდებობების პირების ფუნქციები. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა წიგნების „TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ“ ანუ „ტრაბზონის ვილაიეთის წელიდწლეულის“ მონაცემებს. თანზიმათის გავლენას საკვანძო როლი აქვს ადგილობრივ პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ ორგანიზაციაზე.

ჩვენს ლიტერატურაში გადმოცემული იყო მონაცემები იმდროინდელ გამოჩენილ პირთა ნაშრომებიდან, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ეხებოდნენ. თუმცა, მათ ძირითადად ხელი არ მიუწვდებოდათ, ან ნაკლებად მიუწვდებოდათ რეალურ საბუთებზე. ჩვენი ნაშრომის მიზანია ვნახოთ და გამოვასწოროთ ჩვენს ლიტერატურაში არსებული დაუზუსტებელი ცნობები. გადმოვცეთ ლაზისტანის სანჯაყის სახელისუფლებო სტრუქ-ტურების ფუნქციები. დავაკვირდეთ ოსმალეთის ადმინისტრაციული რეფორმების გავლენას რეგიონის ადგილობრივ მმართველობაზე. ნაშრომი წვლილს შეიტანს მომავალ კვლევებში.

ჩვენი სტატია იძლევა ინფორმაციას ოსმალეთის ადმინისტრაციული სისტემის ადგილობ-რივ გავლენაზე. ზუსტად ადგენს სანჯაყის, კაზების და ნაჰიების სტრუქტურას. გვიჩვენებს როგორ ძლიერდებოდა ცენტრალიზაცია, მასთან ერთად ის ზღუდავდა ეროვნულ უმცი-რესობათა ინტერესებს.

გვსურს,რომ ნაშრომი გახდეს საფუძველი საქართველოს უძველესი ისტორიული მხარის შესწავლისთვის.

მეთოდები

ჩვენი ნაშრომი დაფუძნებულია ისტორიული წყაროების სისტემურ ანალიზზე, უპირველესად ოფიციალურ ოსმალურ დოკუმენტებზე. გამოყენებულია კომპარატიული მეთოდი, რაც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ სხვადასხვა ავტორთა მონაცემები. ასევე სტრუქტურული მეთოდი, რომლის საშუალებითაც გამოიყოფა სანჯაყების, კაზებისა და

ნაჰიების იერარქია, მმართველი პირებისა და მეჯლისების ფუნქციები. ვაკრიტიკებთ წყაროებსაც, ვცდილობთ განვსაზღვროთ მონაცემთა სისწორე, დავაზუსტოდ ფაქტები.

შედეგები

ნაშრომში გადმოვცემთ ლაზეთის (ჭანეთის) აღმოსავლეთ ნაწილის ადმინისტრაციული სტრუქტურას ოსმალეთის იმპერიაში 1869-1876 წლებში.

ვცდილობთ, თანზიმათიდან გამომდინარე წარმოვაჩინოთ სანჯაყების, კაზების და ნაჰიების იერარქიაზე ადმინისტრაციული ცვლილებები.

მოცემულ საკითხზე, ახალი წყაროებით ვაკონკრეტებთ ჩვენს ლიტერატურაში არსებულ არასწორ და დასაზუსტებელ მონაცემებს.

ვაჩვენებთ სახელისუფლებო სტრუქტურების ფუნქციონიორების ძირითად მექანიზმებს.

ცხადი ხდება თანზიმათმა გააძლიერა ცენტრალიზაცია და შეზღუდა ეროვნულ უმცირესობათა თვითმყოფადობა.

მსჯელობა

ლაზეთი ანუ ჭანეთი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა. ის შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. უძველესი პერიოდიდან კოლხას ნაწილს შეადგენდა. მისი რეგიონები საუკუნეების განმავლობაში საქართველოს სამეფოების და გურიის სამთავროს, აგრეთვე ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. გარკვეული პერიოდი იქ თამარ მეფის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერია არსებობდა. 1461 წელს იგი ოსმალეთის იმპერიამ დაიპყრო და ერთ-ერთ პროვინციად აქცია. მთლიანად კი ოსმალეთში ლაზეთი ანუ ჭანეთი ირან-ოსმალეთის 1514-1555 წლების ომის დროს მოექცა.

ოსმალებმა ლაზეთის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე დააარსეს ლაზისტანის სანჯაყი, იგი ოფიციალურად 1551-1925 წლებში არსებობდა. მის დედაქალაქს დაარსებიდან 1878 წლამდე წარმოადგენდა ბათუმი, 1878-1925 წლებში კი ქალაქი რიზე (https://en.wikipedia.Org>wiki> Lazistan_Sanjak). თუმცა საუკუნეების განმავლობაში ტრაბზონის (თურქები ტრაპიზონს უწოდებდნენ ტრაბზონს) ეიალეთში არსებული ჩვენთვის საინტერესო რეგიონის საზღვრები და სახელწოდებები იცვლებოდა. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან თავიდან ჩნდება სახელწოდება ლაზისტანის სანჯაყი (https://en.wikipedia.org>wiki> Trebizond_Eyalet).

მე-19 საუკუნის დასაწყისის ტრაბზონის ეიალეთის სანჯაყებად დაყოფა გვახსენებს ჭანეთის ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინციებს. კერძოდ, აღმოსავლეთით ლაზისტანი, ცენტრში ტრაპიზონი და დასავლეთით კერასუნტი(იქვე).

ოსმალეთის იმპერიის სოციალ-პოლიტიკური წყობილებს მნიშვნელოვან ნაწილს სამხედრო-ლენური სისტემა წარმოადგენდა. ლაზეთის მიწებს ძირითადად ადგილობრივი ელიტა, ლენების მფლობელები განკარგავდნენ (ცენტრალური ხელისუფლების კონტროლით). ლაზეთში, განსაკუთრებით მთიან რაიონებში ადგილობრივი გავლენიანი საგვარეულოები და თემები გარკვეულ ავტონომიას ინარჩუნებდნენ. სამხედრო-ლენური 1834 წელს გაუქმდა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს საფუძვლად დაედოთ ტერიტორიული ნიშანი. მაგრამ მისი გაუქმების პროცესი წლების განმავლობაში გაიჭიმა.

1864 წ. გამოიცა და 1867 წ. სრულყოფილ იქნა კანონი რომლითაც შეიქმნა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. ეხლა მისი სტრუქტურა შემდეგნაირად გამო-იყურებოდა. ყველაზე მსხვილი იყო ვილაეთები. იქ, უმაღლესი ადმინისტრაციული წარმომადგენელი იყო ვალი ანუ გუბერნატორი. ვილაიეთები იყოფოდა სანჯაყებად (ლივებად). მათ მუთესარიფი მართვდა. სანჯაყები იყოფოდა კაზებად, რომელთაც კაიმაკამი მართავდა, ხოლო კაზები კი ნაჰიებად, სადაც უმაღლესი ადმინისტრატორი იყო მუდირი.

ახალი მდგომარეობით ტრაბზონის ეიალეთის ნაცვლად შეიქმნა ტრაბზონის ვილაეთი. ის წინამორბედის მსგავსად იმპერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ანუ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა.

ტრაბზონის ვილაიეთი შედგებოდა ოთხი სანჯაყისაგან: ჯანიქის, ტრაბზონის, გიუმიუშჰანეს და ლაზისტანის. აქედან, ლაზისტანის სანჯაყი მდებარეობდა ვილაიეთის უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით მას აკრავდა რუსეთის იმპერია, სამხრეთ-აღმოსავლეთით ერზრუმის ვილაიეთი, ჩრდილო-დასავლეთით შავი ზღვა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით ტრაბზონის სანჯაყი.

ბოლო პერიოდამდე ლაზისტანის სანჯაყის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ გაგვაჩნდა ან მცდარი მონაცემები ან კიდევ წყაროს უქონლობის გამო ისინი დაზუს-ტებას ითხოვდა. ნიკო ნიკოლაძეს რეგიონთა დასახელებანი ლაზისტანის სანჯაყში სწორად აქვს გადმოცემული, მაგრამ კაზები და ნაჰიები ერთმანეთშია არეული(ნიკოლაძე, 1963:71). გიორგი ყაზბეგს კაზათა რაოდენობა სწორად აქვს ჩამოთვლილი, მაგრამ კაზების შიგნით უზუსტობას აქვს ადგილი(Казбег, 1876:1). გარკვეული შუქი მოცემულ საკითხში შეაქვს ა. ფრენკელს(Френкеля,1879:2-3). ჟურნალი „ივერია“ 1877 წლისათვის გადმოგვცემს: „მთელ ოსმალოს საქართველოს ექვს ყაზაში არის თერთმეტი სამუდირო, სახელდობრ: 1) ბათუმისა, 2) ჩურუქ-სუს (ესე იგი ქობულეთისა), 3) ზედა აჭარასი, 4) ქვედა აჭარასი, 5) მაჭახელის, 6) ლივანას, 7) გუნიის, 8) ხოფისა, 9) არხავესი, 10) ხემშინისა და 11) ათინასი.-გუნიეს, ხოფას და არხავეს ნახიები არიან ხოფას ყაზა. ხემშინი და ათინა ათინის ყაზა, და ეს ორი ყაზა ანუ უეზდი არის ჭანეთი, ისე როგორც თელავისა და სიღნაღის უეზდი კახეთია. ამ გვარათვე ზედა და ქვედა აჭარა არის ერთი უეზდი (ყაზა), ბათუმი და ქუბულეთი (ჩურუქ-სუ) ერთი უეზდია. მაჭახელი და ლივანაც ერთი უეზდათ არის და სხვანი ამ გვარათ“ („ივერია“,1877:10). აქ ჯერ ერთი მითითებულია: „მთელ ოსმალოს საქართველოს“, რაც არ არის ზუსტი, რადგან მხედველობაშია მხოლოდ ლაზისტანის სანჯაყი. ოსმალეთის იმპერიაში კი იყო სხვა სანჯაყებიც ისტორიული ქართული ტერიტორიებით. გარდა ამისა, არც კაზების და ნაჰიების სტრუქტურაა მთლიანად ზუსტი.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ბრიტანელი მოგზაური, დიპლომატი და მწერალი უილიამ ჯონ პალგრევი. იგი ერთი პერიოდი იყო ბრიტანეთის ტრაბზონელი ელჩი. მისი ერთ-ერთი ნაშრომია „აზიის თურქეთისა და ბათუმის ოლქის აღწერის მასალები“, რომელიც 1867-1869 წლებს ეხება. აქ იგი საერთო ჯამში სწორად გადმოგვცემს მონაცემებს როგორც ლაზისტანის სანჯაყის კაზების ანუ საკაიმაკამოების ისე მასში ნაჰიების ანუ სამუდიროების შესახებ(აჭმ. ხ/ფ. №588:7-16).

ეხლა ჩვენს ხელთაა ოფიციალური ოსმალური წყაროები, რომლის მიხედვით 1869 წელს ლაზისტანის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

1. ბათუმის ნეფსი/ქალაქი, ადმინისტარციული ცენტრი - ბათუმის კაზას ნეფსი/ქალაქი ბათუმი, ჩურუქ-სუს ნაჰიე, აჭარა სუფლას (ქვემო აჭარის) ნაჰიე, აჭარა ულიას (ზემო აჭარის) ნაჰიე.
2. ლივანას კაზა - ლივანას კაზა, მაჭახელის ნაჰიე.
3. არჰავეს კაზა - არჰავეს კაზა, ჰოფას ნაჰიე, გონიოს ნაჰიე, ათინას ნაჰიე, ჰემშინეს ნაჰიე (Emiroğlu, K. 1993ა:145).

1870 წლისთვის ადგილი აქვს გარკვეულ ცვლილებებს:

პირადად მუთესარიფის საგამგებლოში არსებული	პირადად ბათუმი ბათუმის კაზა ჩურუქ-სუს ნაჰიე
აჭარის საკაიმაკამო	აჭარა სუფლას კაზა აჭარა ულიას ნაჰიე მაჭახელის ნაჰიე
ჰოფას საკაიმაკამო	ჰოფას კაზა არჰავეს ნაჰიე გონიოს ნაჰიე
ათინას საკაიმაკამო	ათინას კაზა ჰემშინეს ნაჰიე
ლივანას საკაიმაკამო	ლივანას კაზა ჰაბექელასქურ ნაჰიე

(Emiroğlu, K. 1993ბ:185).

წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა ცოტაოდენი ცვლილებებით არსებობდა 1878 წლამდე ანუ რუსეთ-ოსმალეთის ომის დასარულამდე. ეხლა ვნახოთ რა ცვლილებები განიცადა მან. 1873 წელს აჭარა სუფლა კაზა შევიდა პირადად მუთესარიფის საგამგებლოში, გვერდით არსებულ ჩარჩოში (Emiroğlu, K.-1873ა:109). 1874 წელს კი შეიქმნა ჩურუქ-სუს კაზა(Emiroğlu, K. 1995ბ:113), გვაქვს მისი სტრუქტურა, რომლის შესახებ ქვემოდ გავამახვილებთ ყურადღებას. 1875 წელს აჭარა სუფლა კაზა ბრუნდება აჭარის საკაიმაკამოში და ამ წელს გვაქვს იგივე სურათი რაც 1870 წელს, ზემოდ გადმოცემულ სტრუქტურაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ყოფილი ჩურუქ-სუს ნაჰიე, ეხლა კაზა ცალკეა მოთავსებული პირადად მუთესარიფის საგამგებლოს და აჭარის საკაიმაკამოს შორის. მთელი ეს მდგომარეობა, ლაზისტანის სანჯაყის სტრუქტურა ცხადია შეცვალა რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგებმა.

არსებობს ცნობა, რომ „...დროშა გააჩნდათ ბათუმისა და ლაზისტანის მბრძანებელთ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეებს, ამ დროშის ქვეშ ერთიანდებოდნენ დანარჩენი ბეგები, რომლებიც ბათუმისა და ლაზისტანის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედიოდნენ“ (აჭმ. ხ/ფ. №455:66).

დაზუსტებას მოითხოვს ტიტული-სანჯაყ-ბეგი. ოფიციალურად იგი სამხედრო-ლენური სისტემის გაუქმებას უნდა გადაჰყოლოდა, თუმცა შემორჩა პატივის გამომხატველ სახელ-წოდობად.

იმ დროს სოფელს მართავდა მუხტარი. აჭარის დასახლების ძირითადი ტიპი მომდინა-რეობდა ძველი პერიოდიდან. კერძოდ, ჯგუფ-ჯგუფად ანუ უბნებად (მეჰელე) გაფანტული სახლები ქმნიდა სოფელს. სოფელთა გაერთიანება კი თემს (მგელაძე, 1962:115).

ტრაბზონის ვილაიეთის ადმინისტრაცია ქალაქ ტრაბზონში მდებარეობდა. იქვე იყო ვილაიეთის ვალის ანუ გუბერნატორის რეზიდენცია.

ლაზისტანის სანჯაყის ანუ სადროშოს ცენტრს ქალაქი ბათუმი წარმოადგენდა. შესაბამისად აქ იყო განლაგებული სანჯაყის სახელისუფლებო სტრუქტურები. მისი ოფიციალური მონაცე-მები 1869 წლიდან გაგვაჩნია. აღნიშნულ წელს ადგილობრივი ადმინისტრაციას სათავეში ედგა მუთესარიფი ანუ მმართველი-მეჰმეთ ვასფი ეფენდი, მას ჰყავდა მოადგილე ანუ ნაიბი-მეჰმეთ ქერამეთთინ ეფენდი, სანჯაყს ჰყავდა ბუხჰალტერი, მუფტი და კანცელარიის გამგე.

სახელისუფლებო სტრუქტურებში ჩვენს ყურადღებას იპყრობს თანზიმათის პროგრამით შექმნილი მეჯლისები ანუ საბჭოები. იქ განიხილებოდა ხელისუფლების გადასაწყვეტი (მმართველობის, კანონების, გადასახადების და სხვა) საკითხები. ჩვენს ლიტერატურაში იმ დროინდელ მეჯლისებთან დაკავშირებით დაუზუსტებელი წარმოდგენაა. შექმნილია მათში ადმინისტრაციული და მართლმსაჯულების შერწყმის შთაბეჭდილება. ჩვენს ხელთ არსებული მასალებით კი მეჯლისები ცალ-ცალკე იყვნენ წარმოდგენილი. ესენი ნაწილობრივ ხალხისგან არჩევითი იყო. მაგრამ იმდროინდელი დაბალი განათლების და პოლიტიკურად მოუმზადებელი საზოგადოების პირობებში არჩევნების დემოკრატიულობაში ეჭვია შესატანი. ამის საფუძველს გვაძლევს დიმიტრი ბაქრაძის გადმოცემაც, თუ როგორ ატყდა ჩურუქ-სუში (ქობულეთში) ხოცვა-ჟლეტა სისხლის აღების საფუძველზე ნათესავებს შორის მეჯლისში პირველობისათვის ბრძოლისას და შეიწირა ათზე მეტი ადამიანი (ბაქრაძე,1987:86-87).

ლაზისტანის სანჯაყში (ლივაში) არსებობდა ორი მეჯლისი: ადმინისტრაციული და სააპელაციო.

ადმინისტრაციული მეჯლისი შედგებობა ზემოდ დასახელებული თანამდებობის პირებისაგან (მუთესარიფი, ნაიბი, ბუღჰალტერისგან, მუფტისა და კანცელარიის გამგისაგან) და ერთი წევრისაგან, აგრეთვე სამი არჩეული წევრის და პირველი მდივნისაგან. გარდა ამისა აქ იყვნენ კომპანიონი და რეგისტრატორი.

სააპელაციო მეჯლისი კი შედგებოდა უფროსის (ნაიბის), კანცელარიის ექვსი წევრის, პირველი მდივნის, მეორე მდივნის და სამი დამხმარე პირისაგან (Emiroğlu, K. 1993a:109).

ფუნქციონირებდა სანჯაყის ქონების კანცელარია ხუთი თანამშრომლით და მიმოწერის კანცელარია ოთხი თანამშრომლით(იქვე:111).

აღწერის განყოფილება ორ ნაწილად იყოფოდა, ადგილზე მომუშავე კომისიად და მოარულ თანამშრომლებად. ადგილზე იყვნენ: პირველი მდივანი, შემთხვევების მდივანი, დოკუმენტაციის და სასამართლოს გადაწყვეტილებათა მდივანი, ფულის ბრუნვის, შენობა-ნაგებობათა მარეგისტრირებელი, მერვეულე კანცელარიაში. მოარული თანამშრომლები

იყვნენ: აღწერის და რედაქტირების თანამშრომელი, თანხლებელი, ორი რეგისტრატორი, ორი შემფასებელი, ორი მიწისმზომელი(იქვე:113).

მეჰმედ ვასფი ეფენდი 1872 წლამდე იყო ლაზისტანის სანჯაყის მუთესარიფი, 1872 წელს ეს თანამდებობა ეკავა შუქრი ბეის, 1873 წელს ჰასან ჰამიდ ფაშას, 1874 წელს იუსუფ ზია ფაშას, 1875 წელს ფიქრი ეფენდის, 1876 წელს აბდულ ჰამიდ ფაშას.

რაც შეეხება კაზას, მისი სახელისუფლებო სტრუქტურა ყველგან ერთნაირი არ ყოფილა. მართალია სტანდარტი ერთი იყო, მაგრამ თავისებერებათა გამო ადგილებზე გარკვეულ ცვლილებებს ჰქონდა ადგილი.

1870 წლისათვის აჭარის კაზას სახელისუფლებო სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ა ჭ ა რ ი ს კ ა ზ ა	
კაიმაკამი: ჰასან ბეი ისტამლა ამირი ნაიბი: აჰმედ ფუად ეფენდი მუფტი: მეჰმედ ეფენდი მალ მუდირი (ანუ ქონების მენეჯერი): მეჰმედ შერიფ ეფენდი მეჯლისის მართვის კანცელარიის მდივანი: ჰაჯი ჰუმან ეფენდი ხაზინადარი: ჰუსეინ ეფენდი	
ადმინისტრაციული მეჯლისი	სასამართლოს მეჯლისი
თავმჯდომარე: კაიმაკამი წევრები: ჰასან ბეი, აზიზ ალემდარი ჰასან აღა	თავმჯდომარე: ნაიბი ეფენდი კანცელარიის მოსამსახურე: სელიმ ბეი მემი აღა ჰუსეინ აღა მდივანი: ისმაილ ეფენდი
ო ლ ქ ე ბ ზ ე მ ი მ ა გ რ ე ბ უ ლ ებ ი	
აჭარა ულია ნაჰიეს მუდირი: მურთაზ ბეი. მდივანი: შერიფ ეფენდი. მაჭახელის ნაჰიეს მუდირი: მაჰმუდ ბეი. მდივანი: აჰმედ ეფენდი.	

(Emiroğlu, K. 1993ბ:95).

ჩვენს ხელთაა ასევე 1874 წლის ჩურუქ-სუს კაზას სახელისუფლებო სტრუქტურა. ის აჭარის კაზას მსგავსია. იმ განსხვავებით, რომ სასამართლოს მეჯლისი ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა. გარდა ამისა, ჩურუქ-სუს კაზას არ აქვს სტრუქტურა: ოლქებზე მიმაგრებულები, რადგან მას ნაჰიები არ გააჩნდა (Emiroğlu K.1995ბ:113).

სპეციალისტთა მიერ საყოველთაოდ და სრულიად სამართლიანად აღიარებულია თანზიმათის აუცილებლობა. თუმცა იმპერიის ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებისათვის წინააღმდეგობას ვხედავთ (ძლიერდებოდა ცენტრალიზაცია, რაც იმპერიისათვის პროგრესს წარმოადგენდა, სამაგიეროდ იზღუდებოდა ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები, თვითმყო-

ფადობა). საკმარისია აღინიშნოს, რომ ბიუროკრატიული საქმისწარმოება მიმდინარეობდა ოსმალურ თურქულ ენაზე.

ჩვენი რეგიონის იმდროინდელი ადმინისტრაციის და სასამართლო სტრუქტურების მუშაობასთან დაკავშირებით კრიტიკის ქარცეცხლია. უდაოა, რეფორმების მიერ დანგრეული ძველი სახელისუფლებო სტრუქტურების ადგილას შექმნილ ახალ სისტემას ხარვეზები გააჩნდა. ისტორიკოსი დ. ბაქრაძე (ბაქრაძე, 1987:86-87), სამხედრო კორესპონდენტი ა. ფრენკელი (Френкеля, 1879: 75), მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე გ. წერეთელი (წერეთელი,1973:143), საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე (ნიკოლაძე, 1963:78-79) და სხვა ანგარიშგასაწევი პირები შესაბამის საკმაო მასალას იძლევიან.

კარდინალური რეფორმებისას, დაბალი განათლების მქონე საზოგადოებაში, გარკვეული მიზეზების გამო, დელიქტი ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგრამ პერსპექტივის თვალსაზრისით ადმინისტრაციული რეფორმა, როგორც მთელი თანზიმათი, იმპერიისათვის გარდაუვალ საფეხურს წარმოადგენდა.

თანზიმათის სრულყოფილი გატარება ნიშნავდა ისტორიული საქართველოს ოსმალეთის იმპერიაში მეტ ინტეგრაციას.

სახელისუფლებო სტრუქტურების წარმოდგენისას, თანამდებობათა დასახელების გვერდით მიწერიალია პიროვნებათა სახელებიც (წყაროებში გვარები მითითებული არაა, მაშინ ოსმალეთში პიროვნების იდენტიფიცირება ხდებოდა სახელით, მამის სახელით, მეტსახელით, წარმომავლობით და პროფესიით). ვფიქრობთ, ესენი, ნაწილი მაინც, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები იყვნენ. მათი იდენტიფიკაცია, ისევე როგორც სხვა გამოსარკვევი საკითხები შესწავლის საგანია.

დასკვნები

კვლევის მიხედვით დასტურდება, რომ საქართველოს ისტორიული მხარის ლაზეთის ანუ ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილი ოსმალეთში ინტეგრირებული იყო ლაზისტანის სანჯაყის სახით.

ვადგენთ, რომ ლაზისტანის სანჯაყის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სტრუქტურა XIX საუკუნეში დინამიკურ ცვლილებებს განიცდიდა. განსაკუთრებით თანზიმათის განხორციელებით.

არსებული ლიტერატურის კრიტიკულმა ანალიზმა, ახალმა საარქივო საბუთებმა შესაძლებელი გახადა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ლაზისტანის სანჯაყის ადმინისტრაციული მოწყობის დაზუსტება და ისტორიოგრაფიაში არსებული რიგი შეუსაბამობის კორექტირება.

გამოიკვეთა, რომ ცენტრალიზებული მმართველობის გაძლიერების პირობებში სანჯაყის, კაზებისა და ნაჰიების ადმინისტრაციული ორგანოები ფუნქციონირებდნენ შეზღუდული, თუმცა ფორმალურად განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში.

კვლევამ აჩვენა, რომ თანზიმათის რეფორმები ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი მოდერნიზაციის გარკვეულ საფეხურს წარმოადგენდა. თუმცა ეს პროცესი ძალზე ზღუდავდა ეროვნული უმცირესობების, მათ შორის ქართველების თვითმყოფადობას.

ვაზუსტებთ, რომ ცვლილებებმა, დემოკრატიზაციის მიზნით შექმნილმა ახალმა სისტემამ იმ რთულ პერიოდში ლიბერალიზაცია ვერ მოიტანა თუმცა მომავლისათვის მისი საფუძველი შექმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

ბაქრაძე, დ. (1987). არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.

გაზეთი „ივერია“. (1877). № 12. ტფილისი

მგელაძე, ვ. (1962). სოფ. დარჩიძეების დასახლების სტრუქტურისათვის. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები. ტ. II. გვ.113-120.

ნიკოლაძე, ნ. (1963). თხზ. ტ. 3. გამომცემლობა „ცოდნა“.

წერეთელი, გ. (1973). პუბლიცისტიკა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი-აჭარის მუზეუმი. ხელნაწერთა ფონდი (აჭმ.ხ/ფ), № 455

ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმი-აჭარის მუზეუმი. ხელნაწერთა ფონდი (აჭმ.ხ/ფ), № 588

Emiroğlu, K. (1993)ა. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1869, Özkan Matbaacilik Ltd şti, ANKARA.

Emiroğlu, K. (1993)ბ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1870, Özkan Matbaacilik Ltd şti, ANKARA

Emiroğlu K.(1993)გ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1871, Satak Matbaacilik Ltd şti, ANKARA.

Emiroğlu K.(1994). TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1872, Safak Matbaacilik Ltd şti, ANKARA.

Emiroğlu K.(1995)ა.TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1873, ETAM A Ş Matbaa Tesisleri, ANKARA

Emiroğlu K.(1995)ბ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1874, ETAM A.ŞMatbaa Tesisleri, ANKARA

Emiroğlu K.(1995)გ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESI-1875, ETAM A.ŞMatbaa Tesisleri, ANKARA.

Emiroğlu K.(1995)დ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ–1876, ETAM A. Matbaa Tesisleri, ANKARA.

https://en.wikipedia.Org>wiki> Lazistan_Sanjak.

https://en.wikipedia.org>wiki>Trebizond_Eyalet

Казбег, Г. (1876). Военно-статистический и стратегический очерк Лазистанского санджака. Типография окружного штаба Кавказского военного округа, Тифлис.

Френкель, А. (1879). Очерки Чурук-Су и Батума. Типография А. А. Михельсона, Тифлис.

REFERENCES

Bakradze, D. (1987). Arkeologiuri mogzauroba Guriashi da Acharashi. [Archaeological Journey in Guria and Adjara]. Batumi: Publishing House „Sabchota Achara“.

Gazeti „Iveria“[Newspaper “Iveria“]**.** (1877). № 12. Tiflis

Mgeladze, V. (1962). Sop. Darchidzeebis dasakhlebis strukturisatvis [On the Structure of the Settlement of the Village of Darchidzeebi]. Proceedings of the Batumi Scientific-Research Institute. Vol. II, pp. 113–120.

Nikoladze, N. (1963). Tkhz.T. 3. [WorksVolume 3], Tbilisi: Publishing House „Tsodna“.

Tsereteli, G. (1973). Publitsistika. [Publicistic Writings]. Tbilisi: Publishing House „Sabchota Sakartvelo“.

Khariton Akhvledianis sakhelobis muzeumi – Adjaris muzeumi. [Khariton Akhvlediani Museum – Adjara Museum]. Khelnatserta fondi (Achm. Kh/F), [Manuscript Fund] (M/F) № 455.

Khariton Akhvledianis sakhelobis muzeumi – Acharis muzeumi. [Khariton Akhvlediani Museum – Adjara Museum]. Khelnatserta fondi (Achm. Kh/F), [Manuscript Fund] (M/F) № 588.

Emiroğlu, K. (1993)ა. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1869, Özkan Matbaacilik Ltd şti, ANKARA.

Emiroğlu, K. (1993)ბ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1870, Özkan Matbaacilik Ltd şti, ANKARA

Emiroğlu K.(1993)გ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1871, Satak Matbaacilik Ltd şti, ANKARA.

Emiroğlu K.(1994). TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1872, Safak Matbaacilik Ltd şti, ANKARA.

Emiroğlu K.(1995)ა.TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1873, ETAM A Ş Matbaa Tesisleri, ANKARA

Emiroğlu K.(1995)ბ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ - 1874, ETAM A.Ş Matbaa Tesisleri, ANKARA

Emiroğlu K.(1995)გ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESI-1875, ETAM A.ŞMatbaa Tesisleri, ANKARA.

Emiroğlu K.(1995)დ. TRABZON VİLAYETİ SALNAMESİ–1876, ETAM A. Matbaa Tesisleri, ANKARA.

https://en.wikipedia.Org>wiki> Lazistan_Sanjak.

https://en.wikipedia.org>wiki>Trebizond_Eyalet

Kazbeg, G. (1876). Voenno-statisticheskiy i strategicheskiy ocherk Lazistanskogo sandzhaka [*Military-Statistical and Strategic Survey of the Lazistan Sanjak*]. Tiflis: Printing House of the District Headquarters of the Caucasus Military District

Frenkel, A. (1879). Ocherki Churuk-Su i Batuma [essay of Churuk-Su and Batum]. Tiflis: Printing House of A. A. Mikhelson